

ინტერნეტ ოლიმპიადა 2014

II ტური

გეოგრაფია

- შეკითხვები არჩევითი პასუხით

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული დავალების პირობა. ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი სწორი. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.


1. რელიეფის რომელი ტიპი არის დაკავშირებული კირქვებთან?

- ა. გლაციალური
- ბ. ეროზიული
- გ. აკუმულაციური
- დ. პალეოგლაციალური

2. ვისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტი?

- ა. აკადემიკოსი მიხეილ საბაშვილის
- ბ. აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილის
- გ. აკადემიკოსი თეოფანე დავითაიას
- დ. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველის

3. გამოტოვებულ ბლოკში ჩასვით შესაბამისი სიტყვა.



ა. ბუნებრივი პარკი

ბ. ნაკრძალი

გ. ლანდშაფტი

დ. ტყე

4. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, სად ვითარდება ყველაზე ინტენსიურად (მეტად) მარიკულტურა?



ა. აშშ-ში

ბ. ავსტრალიაში

გ. ნორვეგიაში

დ. იაპონიაში

5. ატმოსფეროს ყველაზე მაღალ ფენას ეწოდება



- ა. ეგზოსფერო
- ბ. იონოსფერო
- გ. ტროპოსფერო
- დ. სტრატოსფერო

- შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია



იპოვეთ შესაბამისობა მოცემულ ორ სვეტს შორის. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში.

6. იპოვეთ შესაბამისობა წიაღისეულებსა და საბადოებს შორის.

	წიაღისეული		საბადო
ა.	ტყვია-თუთია	1.	ქ. ახალციხის მიდამოები
ბ.	კალციტი	2.	დაბა კვაისა
გ.	ბენტონიტური თიხები	3.	კოლხეთის ვაკე
დ.	ანდეზიტი	4.	წყალტუბოს რაიონი
ე.	დიატომიტი	5.	კასპის რაიონი
ვ.	ცეოლითი	6.	დაბა ბაკურიანი
ზ.	ტორფი	7.	ქ. ქუთაისთან ახლოს

7. იპოვეთ შესაბამისობა სურათებზე გამოსახულ ობიექტებსა და ქალაქებს შორის

	სურათები	ქალაქი
ა.		1. მადრიდი
ბ.		2. ბუნოს აირესი
გ.		3. ოტავა

დ.		4. კარაკასი
ე.		5. ტოკიო
ვ.		6. პარიზი
ზ.		7. დელი

- გამოიყენეთ რომელ გეოგრაფიულ ობიექტზეა საუბარი.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას. უპასუხეთ რომელ გეოგრაფიულ ობიექტზეა საუბარი მოცემულ მონაკვეთში და პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

8. რომელ გეოგრაფიულ ობიექტზეა საუბარი ტექსტში?

X სტიქიური, ხშირად კატასტროფული მოვლენაა. იგი უპირველეს ყოვლისა, მთებთანაა დაკავშირებული. X ჩამოსვლისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობა იქმნება თუ: მთის ფერდობის დახრილობა მერყეობს 15-დან 50 გრადუსამდე და ტერიტორიაზე არ არის ტყე. ყველაზე ხელსაყრელი ვითარება X იქმნება 30⁰-40⁰-ით დახრილ ფერდობებზე.

9. გამოიყენეთ ქვეყანა კარიკატურის მიხედვით.



Blank box for answer.

10. გამოიცანით რას ეხება მოცემული კარიკატურა?





